

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 13

ქ.თბილისი

28.07.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

გაიანე სიმონია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ნინო მოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;

ლალი ლოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

დავით კერესელიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილე;

ნანა ჭილაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი მიქაძე - ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სალომე ფრუიძე - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ლაშა მარგიშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ბექა ძამაშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლიკა გიორგაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ბეგიაშვილი - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი გიორგი ბუღაძე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნინო ღაღანიძე;

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორი ნიკოლოზ წიკლაური და რექტორის მრჩეველი ეკა სირაძე;

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კანცლერი გიორგი მელაძე და სამართლის სკოლის კოორდინატორი ნათია ხანთაძე;

შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ რექტორი ლევან ტვილდიანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნინო ბრეგვაძე;

შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ვალერი სუხიშვილი და თანამშრომელი მაია კიკნაძე;

შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის რექტორი ქეთევან ბახტაძე და სასწავლო პროცესის მენეჯერი გიორგი გამხიტაშვილი;

შპს - „გეოფონის“ დამფუძნებელი, გენერალური დირექტორი ნოდარ ნადირაშვილი;

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ერმილე მესხია;

შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რამილ ზოკაკიშვილი და რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ემზარ ბარბაქაძე;

შპს - „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მერაბ ზედგენიძე და თანამშრომელი მზია ბარამიძე;

შპს - უნივერსიტეტი „ინტერფარმი“-ის პრორექტორი მზია კვანჭილაშვილი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი გია ჟივიძე;

შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსი „გონის“ დირექტორი დარეჯან ჩხიროძე და დირექტორის მოადგილე ნათია კამკამიძე;

შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯის დირექტორი ირინა ზედგენიძე;

შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ დირექტორი საფფეთ ბაირაქთუთანი და დირექტორის მოადგილე ეკა ლომთათიძე;

შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარის“ დორექტორი მაია ლაგვილაშვილი და დირექტორის მოადგილე თამარ მიდელაშვილი;

სპს - „ლომისი 1 თამარ ბარძიმაშვილის“ დირექტორი თამარ ბარამიძე;

შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მენეჯერი, გულნარა დევდარიანი;

შპს - „ნაკადულის“ დირექტორი ლეილა კალანდია;

შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის წარმომადგენელი ნესტან არქანია.

ავტორიზაციის ექსპერტები:

ეკატერინე ბალიშვილი;

დავით ბოსტოლანაშვილი;

ლევან მადათოვი;

მარიამ დარბაიძე;

ნინო ჩიხლაძე;

ქეთევან ინანაშვილი;

მაია ხურცილავა;
შორენა ჯაფარიძე;
ციური დურული;
ლიანა კობესაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;
ნელი ნასყიდაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის გამო სხდომას უძღვებოდა თავმჯდომარის მოადგილე - იოსებ სალუქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19.27 სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. იოსებ სალუქვაძემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

7. შპს - „გეოფონის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

8. ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

ა) სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი;

ბ) შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი;

გ) შპს - „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“;

დ) შპს - უნივერსიტეტი „ინტერფარმი“;

ე) შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი;

ვ) შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი;

ზ) შპს - საქართველოს საავტომობილო - საგზაო კოლეჯი;

თ) შპს - კავკასიის უნივერსიტეტი;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები:

ა) შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსი „გონი“

- ბ) შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯი;
- გ) შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო - სკოლა „პოლუსი“
- დ) შპს - „ლიცეუმი - პროფესიული კოლეჯი“
9. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. სპს - „ლომისი 1 თამარ ბარძიმაშვილის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - „ნაკადულის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა, ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე, განაცხადა თვითაცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებებთან დაკავშირებით დავით კერესელიძემ განუცხადა:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით საყურადღებოა:

1.1 ბაკალავრიატის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები წარმოდგენილია დარგების მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ხელოვნების ბაკალავრი, არქიტექტურაში არქიტექტურის ბაკალავრი, რესტავრაცია/კონსერვაციაში რესტავრაციის ბაკალავრი, თუმცა პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის გარდა მითითებულია დამატებითი ინფორმაცია სწავლების სფეროს შესახებ, რომელიც შემდგომ შესაძლოა აისახოს დიპლომში;

1.2 ანალოგიურად სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებშიც (მაგალითად, არქიტექტურის, დიზაინის, სახვით ხელოვნებისა და მედიახელოვნების სპეციალობით) კვალიფიკაციის მინიჭების გარდა ხდება დამატებითი ინფორმაციის მითითება შესაბამისი სფეროს შესახებ, რომელიც შემდგომ შესაძლოა აისახოს დიპლომში;

1.3 კვალიფიკაცია - ინტერიერის დიზაინის მაგისტრი - მითითებულია საკვალიფიკაციო ჩარჩოში, როგორც „ინტერიერი და დიზაინი“. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ეს კონსტრუქცია გარკვეული ხარვეზის შემცველია, რადგან მსგავსი შინაარსის სპეციალობა საერთოდ არ არსებობს და იგი გულისხმობს „ინტერიერის დიზაინს“. შესაბამისად მათი შუამდგომლობაა შესაბამისი მოდიფიცირების განხორციელება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში.

1.4 ორ სპეციალიზაციას: ა) გარემოს დიზაინი და ბ) ფერი და განათება არქიტექტურულ დიზაინში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არ ითვალისწინებს, მათთან დაკავშირებით, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა შუამდგომლობა, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს სპეციალიზაციათა ჩამონათვალში დამატების შესახებ;

1.5 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ორივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ პრაქტიკას ეთმობა კრედიტების მინიმუმ 40%, მაშინ როდესაც

ორივე პროგრამის პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს პრაქტიკისათვის არანაკლებ 50%-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პრაქტიკისთვის განკუთვნილი კრედიტების გარდა (40%), საგნების დიდი ნაწილი პრაქტიკული ხასიათისაა და მათი ჩათვლა სასწავლო პრაქტიკაში ასევე შესაძლებელია.

ცენტრის სახელით დავით კერესელიძემ დაადასტურა, რომ დაწესებულებას მიღებული აქვს თანხმობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შესაბამისი კვალიფიკაციების - ინტერიერის დიზაინი, გარემოს დიზაინი, ფერი და განათება არქიტექტურულ დიზაინში - მინიჭების შესაძლებლობის გათვალისწინების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული გარემოებებიდან დავით კერესელიძემ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

2.1 გრიბოედოვის ქ. #22-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სასწავლო და დამხმარე ფართის ჯამსა და დაწესებულების მიერ მოცემულ მისამართზე დაფიქსირებულ საერთო ფართს შორის სხვაობა (715,76 კვ.მ.) განპირობებულია იმით, რომ ქანდაკების სახელოსნოს ფართი ავარიულია და არ არის ექსპლუატაციაში;

2.2 ექსპერტთა ვიზიტის დროს არ მომხდარა თვითშეფასების კითხვარში მითითებული ჭაჭკავადის გამზ. #16-ში 125 კვ.მ. და მცხეთის რაიონის სოფ. მისაქციელში 815,66 კვ.მ. ფართის ვიზუალური დათვალიერება, რადგან დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, მიმდინარე პერიოდში მოცემულ ფართზე არსებულ შენობა-ნაგებობებში არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ასევე არ ხდება მათი გამოყენება სტუდენტთა დამხმარე მიზნებისთვის. დაწესებულების მიერ იგეგმება მათი სარემონტო სამუშაოებისათვის ფინანსური სახსრების გამოყოფა მომდევნო წლისთვის;

2.3 გარდა ამისა, გრიბოედოვის #22 -ში, დაწესებულების კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ხორციელდება მინა-კერამიკის სახელოსნოს რეკონსტრუქცია (107 კვ.მ.) და ლაბორატორია - „ლურჯი სუფრის“ (72,7 კვ.მ.) სარემონტო სამუშაოები (ორივე მათგანი ცალკე ნაგებობაა), რომლებიც დაწესებულების განმარტებით დასრულდება სასწავლო წლის დაწყებამდე. აღნიშნულ ფართზე არსებობს მხოლოდ პროექტები, ხოლო მონაცემები მათ შესახებ ჯერ არ არის ასახული საჯარო რეესტრში, გამომდინარე იქედან, რომ სამუშაოები არ დასრულებულა და არ ჩაბარებულა, შესაბამისად, არ მოხდა მათი ჩათვლა საერთო ფართში.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა დასკვნას.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას უშუალოდ პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად აქვს გამოყოფილი შესაბამისი რესურსი, რაც იძლევა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისათვის პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განსაზღვრის შესაძლებლობას 195 პროფესიული სტუდენტით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/წ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 3256-ით, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 195-ით.

2. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციასთან დაკავშირებით დავით კერესელიძემ საბჭოს შეახსენა, რომ სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სურვილია უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახორციელება და შემდეგ ისაუბრა მატერიალურ რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა დასკვნებში დაფიქსირებულ ზოგიერთ გარემოებაზე, კერძოდ აღნიშნა:

1. დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებულ ფართებიდან 7798.65 კვ.მ. არის დაწესებულების სარგებლობაში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართი. ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებით და შიდა აზომვითი ნახაზების შესწავლის შესაბამისად დგინდება, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული ფართი არის მხოლოდ სასარგებლო ფართი, რეალურად, საერთო ფართი ბევრად აღემატება აღნიშნულ მონაცემებს.

2. სასწავლო გემ „AKADEMIA“-ზე საკუთრების უფლება დასტურდება 24.02.2010 მიღება-ჩაბარების აქტით, თუმცა საკუთრების მოწმობა ვადაგასულია. შესაბამისად, შეუძლებელია იგი ამჟამად ჩაითვალოს სასწავლო ფართში.

3. სპეციფიკურია დაწესებულებაში სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების პირთათვის ადაპტირებული გარემოს მოწყობის საკითხი. საზღვაო აკადემიაში სწავლის მსურველთათვის, რომლებიც მომავალში საზღვაო გემებზე საქმდებიან, საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის უფლების მოსაპოვებლად სავალდებულოა სპეციალური სამედიცინო შემოწმება (ფორმა №IV-100/ა) სამედიცინო ცენტრებში, რომელთაც აქვთ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სათანადო აღიარება. სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით. ამის გამო, საზღვაო სპეციალისტების მომზადების სპეციფიკურობა შეუძლებელს ხდის უნარშეზღუდულ პირთათვის განათლების მიღების შესაძლებლობას საზღვაო აკადემიაში. რაც შეეხება ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტს, რომელიც განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების მოხვედრა შესაძლებელია დაწესებულების შენობის ეზოს მხრიდან არსებული შესასვლელით. გარდა ამისა, პირველ სართულზევე განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები. ამდენად, შესაბამისი სტანდარტის დაკმაყოფილება ეჭვგარეშეა.

4. დაწესებულების ბიბლიოთეკა განთავსებულია იმ შენობაში, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისათვის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მფლობელობაში აღარ არის, თუმცა აღნიშნულ შენობაში არსებული ბიბლიოთეკით დაწესებულება, ფაქტობრივად, სარგებლობს. ამჟამად, მიმდინარეობს სასწავლო უნივერსიტეტის ახლადგარემონტებული შენობის აღჭურვა და ექსპლუატაციაში მიღება, სადაც, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებითა და ვიზუალური დათვალიერებით გამოირკვა, რომ შენობის მეორე სართულზე განთავსდება ბიბლიოთეკა.

საბჭომ მატერიალური რესურსის სტანდარტთან სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

დავით კერესელიძემ პროფესიული განათლების ნაწილში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მდგომარეობა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით აკადემიური განათლების ნაწილში მოცემული დასკვნის იდენტურია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა დაწესებულებისათვის განსასაზღვრის სტუდენტთა რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთათვის გამოსაყოფი ადგილების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა, პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განსაზღვრულიყო 120 პროფესიული სტუდენტით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და დაწესებულების შუამდგომლობის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 1730-ით, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

3. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციიდან გამომდინარე საბჭოს ყურადღება დავით კერესელიძემ გაამახვილა დასკვნაში მოცემულ ზოგიერთ შენიშვნაზე:

1. მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება (ოპერაციების მენეჯმენტი)“ მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებულია „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, ოპერაციების მენეჯმენტის სპეციალობით“, თვითშეფასების კითხვარში კი - „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ოპერაციების მენეჯმენტში“. თუმცა, არცერთი მათგანი არ შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-3 დანართის (უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც, მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით. შესაბამისად, დაწესებულების შუამდგომლობაა შესაბამისი კვალიფიკაციის დამატება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში.

2. საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. თუმცა, სამართლის საბაკალავრო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშება არ შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-3 დანართის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტს. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების 75% არ ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას, ვინაიდან „სამართლის ძირითადი განათლების კომპონენტი“ მოიცავს მხოლოდ 165 კრედიტს. ამასთან, პროგრამაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი: კომპონენტების კრედიტების ჯამი შეადგენს 243-ს, ნაცვლად 242-ისა.

3. საგანმანათლებლო პროგრამებში არ არის მითითებული შეფასების სისტემა, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამებს თანდართული სილაბუსები და დადგინდა, რომ სილაბუსებში მითითებულია შეფასების სისტემა.

4. დაწესებულების რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები სრულად არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ფორმას (მაგალითად, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 და მე-4 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპონენტების სილაბუსები, კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამის - მე-2, მე-3 და მე-4 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპონენტების სილაბუსები, მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების, აგრეთვე ფიზიკის

საგანმანათლებლო პროგრამებს - პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპონენტების სილაბუსები). დაწესებულებას ისინი ჩამოყალიბებული აქვს სასწავლო კურსის ანოტაციის სახით, თუმცა მათში ასახულია შესაბამისი კომპონენტის შინაარსი, რაც სწავლის შედეგებზე მხოლოდ ზოგადი წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

5. დაწესებულებას არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) - ჩამოყალიბებული ერთიანი დოკუმენტის სახით, რომელშიც მოცემული იქნებოდა ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ. თუმცა, დაწესებულებაში არსებობს სხვადასხვა ორგანოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია შესაბამისი ინფორმაცია. კერძოდ, ექსპერტთა დასკვნის თანახმად, აკადემიური საბჭოს 2010 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებებით დამტკიცებულ დოკუმენტებში ასახულია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციები; ძირითადი და დამატებითი სპეციალობები; სწავლის ხანგრძლივობა; აგრეთვე სხვა ინფორმაცია კურიკულუმთან დაკავშირებით. დოქტორანტურის საფეხურზე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესისა და სადისერტაციო საბჭოს შესახებ“, რომელიც შეიცავს ინფორმაციას დოქტორანტების ჩარიცხვისა და დოქტორანტისთვის კრედიტების მინიჭების წესის, დოქტორანტურის მიმართულებების, სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და ფუნქციების, აგრეთვე დოქტორანტურის ინდივიდუალური პროგრამისა და სადისერტაციო ნაშრომის შესახებ. დოკუმენტი ასახავს ასევე სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემას. დაწესებულების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ასევე ვებგვერდზე.

დავით კერესელიძემ დამატებით განმარტა, რომ ცენტრი ეთანხმება დაწესებულების წინადადებას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში „ოპერაციების მენეჯმენტის“ ასახვასთან დაკავშირებით და დაწესებულების სურვილის შემთხვევაში განახორციელებს შესაბამის პროცედურებს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა „ოპერაციების მენეჯმენტის“ კვალიფიკაციის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ასახვის შუამდგომლობა, რაზეც ცენტრისაგან მიიღო თანხმობა.

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გიორგი მელაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს ახალი სასწავლო პროგრამა, რომლითაც წელს პირველად მოხდება სწავლება ფიზიკის სკოლაში. ასევე, დაწესებულებას აქვს სილაბუსები ყველა განხორციელებულ სასწავლო პროგრამაზე, ხოლო მომდევნო წლებისათვის საჭირო სილაბუსებს თითოეული პროფესორი ეტაპობრივად, იმ დროისათვის მოქმედი საბაზრო მოთხოვნილებების გათვალისწინებით ამზადებს. სამართლის სკოლის კოორდინატორმა, ნათია ხანთაძემ ასევე აღნიშნა, რომ სამართალმცოდნეობის პროგრამაში დაშვებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზი განპირობებული იყო არჩევითი საგნების ფართო სპექტრით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 3

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 1933-ით.

4. შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციიდან გამომდინარე დავით კერესელიძემ საბჭოს ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შემდეგ შეფასებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით

1.1 საგანმანათლებლო პროგრამისათვის პუნქტში „სწავლების ენა“ მითითებულია ქართული და ინგლისური ენა. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულია, რომ: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური. (სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან)“. თუმცა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის N188 ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულია: „სწავლების ენა არის ქართული, აფხაზეთში ასევე აფხაზური. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და/ან გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება“;

1.2 საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებში გაწერილია „კომუნიკაციის უნარი, მათ შორის, უცხოურ ენაზე“. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამებით უცხოური ენის სწავლება გათვალისწინებული არ არის. თუმცა, ცხადია, რომ თუ სწავლების ნაწილი მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე, ეს ბუნებრივად ხელს უწყობს უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებას;

1.3 დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამისა (I საფეხური) და სამაგისტრო პროგრამისათვის (II საფეხური). თუმცა, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი სადოქტორო პროგრამისათვის (III საფეხური).

1.4 უმაღლესი სამედიცინო სკოლას არ აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი უმაღლესი სამედიცინო სკოლის ფარგლებში. დაწესებულების

ადმინისტრაციის ზეპირი განმარტების თანახმად, ამის მიზეზია ის რომ სკოლის თითოეულ საგანმანათლებლო საფეხურზე არსებობს მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო პროგრამა.

1.5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ნუტრიციოლოგია: კვების მოლეკულური და კლინიკური საფუძვლები“) მისანიჭებელ კვალიფიკაციას „ნუტრიციოლოგიის მაგისტრი“ არ ითვალისწინებს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის მიერ ექსპერტთა ჯგუფის წინაშე გაკეთდა ზეპირი შუამდგომლობა კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს სპეციალიზაციათა ჩამონათვალში „ნუტრიციოლოგიის მაგისტრის“ დამატების თაობაზე.

დავით კერესელიძემ ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების წარმომადგენელი მიმდინარე სხდომაზეც დაადასტურებდა კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში „ნუტრიციოლოგიის მაგისტრის“ ასახვის სურვილს, ცენტრი განახორციელებდა აღნიშნულთან დაკავშირებულ პროცედურებს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა „ნუტრიციოლოგიის მაგისტრის“ კვალიფიკაციის კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში ასახვის შუამდგომლობა. რაზეც ცენტრისაგან მიიღო თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, გაეკეთებინა კომენტარი სადოქტორო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის არსებობა-არარსებობის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული გათვალისწინებული იყო დოქტორანტურის დებულებაში, თუმცა დაწესებულება დამოუკიდებელი დოკუმენტის სახითაც ჩამოაყალიბებს მას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით დავით კერესელიძემ საბჭოს ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ნ“ პუნქტი ითვალისწინებს დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების არსებობას. შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ მიერ შემუშავებულია დაწესებულების ერთწლიანი და გრძელვადიანი განვითარების გეგმები, რაც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ასევე, ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. თუმცა, დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი გეგმა გათვლილია 5 წელიწადზე.

დავით კერესელიძემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ერთწლიანი და 5 წელზე გათვლილი გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას ხელმძღვანელობდა მათი ერთიანობის პრინციპით და, შესაბამისად, ეს არ უნდა ჩათვლილიყო სტანდარტის დარღვევად.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით დავით კერესელიძემ საბჭოს ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შემდეგ გარემოებებზე:

3.1 უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ აკადემიური პერსონალი შერჩეულ იქნა 2009 წლის ნოემბერში და 2011 წლის მაისში. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს ჩატარებული აკადემიური კონკურსის მიხედვით გამოცხადებული ვადები ეწინააღმდეგება „უმაღლესი

განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 34-ე მუხლის მე-2 პუნქტს. კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დროისათვის მოქმედ რედაქციას: „კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.“ აკადემიური პერსონალის კონკურსის გამოცხადების თაობაზე შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2009 წლის 25 სექტემბრის 1192-ე ბრძანების მე-5 პუნქტში განსაზღვრულია კონკურსის ვადები: „კონკურსი ჩატარდება 2009 წლის 16 ნოემბერს. დოკუმენტაციის წარდგენა დაიწყება 2009 წლის 1 ოქტომბრიდან - 1 ნოემბრამდე. კონკურსის შედეგები ცნობილი იქნება 2009 წლის 20 ნოემბერს“.

3.2 ექსპერტთა დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ერთ ნაწილში არ არის მითითებული მოქმედების ვადა და დაკავებული თანამდებობა, ხოლო ერთი ნაწილის მოქმედების ვადა გასულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს განემარტათ, ხომ არ შეექმნებოდა პრობლემა პროგრამის განხორციელებას იმ პირობა გარეშე, რომლებთან დადებული ხელშეკრულებების ვადებიც გასულია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნინო ჯავახიშვილმა დააზუსტა, რომ საუბარია რამდენიმე ხელშეკრულებაზე და ამ პერსონალის გარეშეც არ შეექმნებოდა საფრთხე პროგრამის განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოწვეული პერსონალის მიმართ კანონმდებლობა არ აწესებს დამატებით მოთხოვნებს არც კონკურსის გზით მათი შერჩევის და, შესაბამისად, არც მათთან განსაზღვრული ვადით ხელშეკრულების დადების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეცნობებინა რექტორის 2009 წლის 25 სექტემბრის ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ვადებთან მიმართებით მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკურსთან დაკავშირებით იგი იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს და მათი გამოსწორების მიზნით, დაწესებულებამ უკვე გამოაცხადა რიგგარეშე ახალი კონკურსი. რაც შეეხება მოწვეულ პერსონალთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებს, დაწესებულება გარკველი პერიოდის განმავლობაში იყენებდა უვადო ხელშეკრულების ფორმებს, თუმცა ასევე აქვს დადებული ხელშეკრულებები განსაზღვრული ვადით, რომელთა მოქმედების ვადაც გასულია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამ შემთხვევაშიც მოხდა ხარვეზის გამოსწორება, კერძოდ, გაგრძელდა აღნიშნულ ხელშეკრულებათა მოქმედების ვადები.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი კონკურსის ვადების დარღვევის მიუხედავად, მაინც დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტისათვის“ ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტს“ მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 415-ით.

5. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ საბჭოს წევრები მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

დავით კერესელიძემ საბჭოს ყურადღება გაამახვილა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ რამდენიმე გარემოებაზე:

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი შედგება 2 კორპუსისგან: ქ. გორი, გორგასლის ქ N 1/ა და ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი N9.

1.1 გორგასლის ქ N 1/ა არსებულ შენობაში არ არის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

1.2 შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს ცხინვალის გზატკეცილ N9-ში აქვს სპორტული მოედანი, საერთო ფართობი - 2040კვ.მ. დაწესებულებას აღნიშნული ფართი წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში სასწავლო ფართად ჰქონდა მითითებული. ადგილზე გადამოწმების დროს აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ტერიტორია ამ ეტაპზე არ არის კეთილმოწყობილი და სათანადოდ აღჭურვილი შესაბამისი სპორტული ინვენტარით.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გორგასლის ქ N 1/ა არსებულ შენობაში დაწესებულებას სასწავლო პროცესი ჯერ არ განუხორციელებია, შესაბამისი ინვენტარი შეძენილია და ინახება სასწავლო პროცესის დაწყებამდე სათანადოდ გამოყოფილ საცავში.

საბჭომ იმსჯელა **მატერიალური რესურსის** სტანდარტთან შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. **ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით** დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ზურაბ ცირეკიძე საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის შესაბამისად ამავე დროს ირიცხებოდა სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტში - სრულ პროფესორად და შპს თბილისის დავით

აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში - ასოცირებულ პროფესორად. ამჟამად ის არცერთ, მათ შორის არც შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალადაც აღარ ირიცხება.

შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას არ აქვს ინფორმაცია ზურაბ ცირეკიძის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრიდან ამოღების მიზეზის შესახებ.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა განესაზღვროს 996-ით.

6. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს, თუმცა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, რით არის განპირობებული თვითშეფასების ანგარიშში საჯარო რეესტრის მონაცემებისაგან განსხვავებული ინფორმაციის წარმოდგენა: კერძოდ, ქ. თბილისში, წერეთლის გამზირი #1, დაწესებულებას მფლობელობაში არსებული ოთხსართულიანი კორპუსი, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით 2273,76 კვ.მ.-ია, რაც 3,04 კვ.მ-ით უფრო მცირეა ვიდრე თვითშეფასების კითხვარში მოცემული ფართის ოდენობა (2276,80).

საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, დაწესებულება ახორციელებს ქორეოგრაფ-რეპეტიტორის V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად ფაქტობრივად წარმოდგენილია ქორეოგრაფ-რეპეტიტორის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რაც შეესაბამება დაწესებულების დირექტორის 2011 წლის 31 მაისის #20 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამების ჩამონათვალს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება ექსპერტთა დასკვნის ყველა პუნქტს, ხოლო ხარვეზები მექანიკურ ხასიათს ატარებდა.

საბჭომ იმსჯელა **საგანმანათლებლო პროგრამების** სტანდარტთან შპს - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭომ იმსჯელა **მატერიალური რესურსის** სტანდარტთან შპს - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიას მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 968 პროფესიული სტუდენტით.

7. შპს - გეოფონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - გეოფონის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - გეოფონის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - გეოფონის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმული უარყოფითი შეფასებები საბჭოს წარუდგინა დავით კერესელიძემ:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების კითხვარში დაწესებულება აფიქსირებს, რომ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში სურვილი აქვს განახორციელოს I, II და III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რეალურად კი მას კითხვარში, პროგრამების ჩამონათვალში მითითებული აქვს მხოლოდ I საფეხურის 3 პროგრამა: „ფარმაცევტიული“, „სამკურნალო საქმე“ და „ორთოპედიული სტომატოლოგია“. აღნიშნული პროგრამები დამტკიცებულია შპს „გეოფონის“ ჭიათურის ფილიალის დირექტორის მიერ თარიღის მითითების გარეშე. წარმოდგენილ პროგრამებს არ აქვს სახელწოდება, მართალია, პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და კვალიფიკაცია, მაგრამ პროგრამებით მისანიჭებელი კვალიფიკაციები და მათში ასახული ყველა სხვა ინფორმაცია შეესაბამება ყოფილი დიპლომირებული სპეციალისტის და არა I საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

1.2 პროგრამებში მოდულები ასახულია მხოლოდ კრედიტებში, არ არის გამოკვეთილი საკონტაქტო, პრაქტიკისა და დამოუკიდებელი მუშაობის საათები;

1.3 საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს: პროგრამებში სწავლის შედეგები არაა გაწერილი პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული კომპეტენციების მიხედვით და ასევე, არ შეესაბამება კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს;

1.4 საგანმანათლებლო პროგრამებში დაფიქსირებულ პრაქტიკის განმახორციელებელ სუბიექტებთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები, რაც შეუძლებელს ხდის პრაქტიკული კომპონენტის რეალურად განხორციელების შესაძლებლობის დადგენას;

1.5 პროგრამებში შემავალი მოდულების/სასწავლო კურსების მხოლოდ მცირე ნაწილის სილაბუსებია წარმოდგენილი. მაგალითად, დიპლომირებული სპეციალისტი ფარმაციაში (ფარმაცევტის) კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის 18 სასწავლო კურსს აქვს მხოლოდ 9 სილაბუსი, დიპლომირებული სპეციალისტი სტომატოლოგიაში (კბილის ტექნიკოსი)

კვალიფიკაციის მიმნიჭებელ პროგრამის – 27 სასწავლო კურსს 4 სილაბუსი, დიპლომირებული სპეციალისტი – ექთნის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის 33 სასწავლო კურსს აქვს მხოლოდ 3 სილაბუსი. სილაბუსებში არ არის მითითებული, რომელ პროგრამაზე ისწავლება სასწავლო კურსი და როგორაა განაწილებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები;

1.6 საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) დაწესებულებას არ აქვს;

1.7 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები. დაწესებულებამ წარმოადგინა ე.წ. შიდა ნორმატიული აქტი, როგორც კოლეჯის „შინაგანაწესი“, რომელიც მათი განმარტებით, არეგულირებს სასწავლებელში სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სტუდენტთა ჩარიცხვას, მობილობას და ა.შ. აღნიშნულ დოკუმენტს არ აქვს დასახელება, არ არის დამტკიცებული სათანადო ფორმით, კერძოდ, მას ამტკიცებს შპს „გეოფონის“ ფილიალის სამეცნიერო, სასწავლო და ტექნიკური ცენტრის დირექტორი, ხოლო თვით დოკუმენტში, კოლეჯი იწოდება, როგორც ჭიათურის სამედიცინო კოლეჯი;

1.8 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;

1.9 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

2.1 შპს „გეოფონის“ საკუთრებაში არსებული 720 კვ.მ. ფართიდან სასწავლო მიზნებისათვის გამოიყენება 451,5 კვ.მ., სადაც განთავსებულია: 5 აუდიტორია, 1 ლაბორატორია, 1 კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, დარბაზი. აღნიშნული ფართი აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით: მერხი – 46, სკამი–29, დაფა–6, კარადა ხის–3 და თუნუქის–3, კომპიუტერი–2, კომპიუტერის დისპლეი–4, სტომატოლოგიური სავარძელი–1, ინვალიდის ეტლი –1, პიანინო–1;

2.2 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი ასახულია ორ საინვენტარო წიგნში, მაგრამ არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. სილაბუსებში მითითებული არც ერთი წიგნი არ არის ადგილზე და არც საინვენტარო წიგნებში ფიქსირდება;

2.3 დაწესებულებას აქვს 2 კომპიუტერი და 4 კომპიუტერის დისპლეი, ინტერნეტ ქსელში ჩართულია 1 კომპიუტერი;

2.4 ვებგვერდი არ არსებობს, ადმინისტრაციის განმარტებით ვებგვერდი დამუშავების პროცესშია.

2.5 დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ხარვეზებით. კერძოდ:

2.5.1 დაწესებულებას არ აქვს საქმისწარმოების წესი;

2.5.2 გასულ კორესპონდენციების ნაწილს არ აქვს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა და ბეჭედი;

2.5.3 არ ხდება გამოცემული ბრძანებების რეგისტრაცია ჟურნალში;

2.5.4 დაწესებულების მიერ გამოცემულ სხვადასხვა სახის აქტებში, და ზოგჯერ ერთი და იმავე დოკუმენტშიც, ფიქსირდება დაწესებულების რამდენიმე სახელწოდება, როგორებიცაა: „შპს „გეოფონის“ პროფესიული კოლეჯი“, „შპს „გეოფონი“, „შპს „გეოფონის“ ფილიალის

სამეცნიერო, სასწავლო და ტექნიკური ცენტრი“, „ჭიათურის სამედიცინო კოლეჯი“, „ჭიათურის სამეცნიერო, სასწავლო ცენტრის საშუალო სპეციალური სასწავლებელი“, „ჭიათურის საშუალო სპეციალური სასწავლებელი – კოლეჯი“, „ჭიათურის ფასიანი საშუალო სპეციალური სასწავლებელი – კოლეჯი“ და ა.შ.

2.6 დაწესებულების მიერ გამოცემულ სხვადასხვა სახის აქტებში ფიქსირდება დაწესებულების რამდენიმე დირექტორი. შპს „გეოფონის“ მიერ გამოცემულ ბრძანებებს, აქტებს, ხელშეკრულებებს უმრავლეს შემთხვევაში ხელს აწერს ბადრი სამხარაძე, რომელიც დანიშნულია 2008 წლის 1 აგვისტოს №12 ბრძანებით „შპს „გეოფონის“ ჭიათურის სამედიცინო კოლეჯის დირექტორად. მის წარმომადგებლობით და ხელმძღვანელობით უფლებამოსილებაზე არ არსებობს ჩანაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში.

ექსპერტთა ვიზიტის დროს, 2011 წლის 13 ივლისს, წარმოდგენილი იქნა შპს „გეოფონის“ გენერალური დირექტორისა და ერთ-ერთი დამფუძნებლის ნოდარ ნადირაშვილის მიერ 2011 წლის 13 ივლისს გაცემული მინდობილობა, რომლის თანახმადაც ის უცხადებს ნდობას შპს „გეოფონის“ ჭიათურის ფილიალის სამეცნიერო, სასწავლო და ტექნიკური ცენტრის დირექტორს ბადრი სამხარაძეს ერთპიროვნულად მართოს და შეუფერხებლად აწარმოოს შპს „გეოფონის“ ჭიათურის სამედიცინო კოლეჯის სასწავლო და სამეურნეო საქმიანობა.

2.7 დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები არ არსებობს.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:

3.1 დაწესებულებას ჰყავს შპს „გეოფონის“ სსტ ცენტრის დირექტორის ბადრი სამხარაძის 2010 წლის 04 ოქტომბრის ბრძანება № 32-ით ჩარიცხული 33 სტუდენტი.

3.2 დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით №30 (1 ოქტომბერი, 2010წ.) დაწესებულებას მიღებული ჰყავს სამუშაოდ 11 ლექტორ-მასწავლებელი შპს „გეოფონის“ ფილიალის ს.ს.ტ ცენტრში. ამ პირებთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებებში ფიქსირდება, რომ შპს „გეოფონის“ ჭიათურის ფილიალს წარმოადგენს აღმასრულებელი დირექტორი ნათელა ფალავანდიშვილი, ხოლო ხელშეკრულებების უმრავლესობას, როგორც „დამკვეთი“, ხელს აწერს ბადრი სამხარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - გეოფონის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საწავლებელი დაარსდა 1991 წელს საქველმოქმედო თვალსაზრისით. 20 წლის მანძილზე დაწესებულებამ ხშირად შეიცვალა სახელი. ამჟამად, დაწესებულების სახელწოდებაა „შპს - გეოფონის ჭიათურის ფილიალის - სამეცნიერო, სასწავლო და ტექნიკური ცენტრი“.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეხუსტებინა, შეესაბამებოდა თუ არა დაწესებულების ზემოაღნიშნული სახელწოდება სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სამეწარმეო რეესტრში დაფიქსირებულია შპს - გეოფონი, ხოლო სახელწოდებათა სიმრავლე განპირობებულია იმით, რომ შპს - გეოფონს აქვს სხვადასხვა დასახელების მქონდე ფილიალები, რომელთა შორის ერთ-ერთი არის სწორედ „შპს - გეოფონის ჭიათურის ფილიალის - სამეცნიერო, სასწავლო და ტექნიკური ცენტრი“. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა

დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა თუნდაც ერთ-ერთ ხარვეზთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია, მაგალითად ბიბლიოთეკაში სილაბუსების შესაბამისი ლიტერატურის არარსებობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ექსპერტთა დასკვნაში არსებული მონაცემების სისწორე.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან შპს - გეოფონის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სამივე სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გეოფონისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გეოფონს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

8. ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

8.1 საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ პროფესიული პროგრამები წარმოდგენილი იყო აკრედიტებული (ავტორიზებული) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ და საბჭოს აქვს ინფორმაცია ამ დაწესებულებების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე. ამ ეტაპზე უნდა შეფასებულიყო ამავე დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით დადგენილი სტანდარტების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი) დაკმაყოფილების საკითხი.

ა) სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით კერესელიძემ. მისი თქმით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტმა 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საფეხური /კრედიტი
1	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	ენიჭება მე-4 საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია	მე-4 საფეხური 90 კრედიტი
2	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	ენიჭება მე-5 საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია	მე-5 საფეხური 90 კრედიტი
3	მონტაჟის რეჟისორი	ენიჭება მე-4 საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია	მე-4 საფეხური 60 კრედიტი
4	მონტაჟის რეჟისორი	ენიჭება მე-5 საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია	მე-5 საფეხური 60 კრედიტი

5	ქორეოგრაფ - რეპეტიტორი	ენიჭება მე-4 საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია	მე-4 საფეხური 60 კრედიტი
6	ქორეოგრაფ - რეპეტიტორი	ენიჭება მე-5 საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია	მე-5 საფეხური 60 კრედიტი
7	კინოტელეოპერატორი	ენიჭება მე-4 საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია	მე-4 საფეხური 60 კრედიტი
8	ჯაზური მუსიკის შემსრულებელი (ინსტრუმენტალისტი/ ვოკალისტი)	ენიჭება მე-5 საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია	მე-5 საფეხური 60 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამებში არ არის ჩამოყალიბებული, სწავლის მოცულობის რა ნაწილი ეთმობა თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს. სასწავლო გეგმაში არ არის კრედიტები გადანაწილებული საათების მიხედვით, შესაბამისად არ ჩანს რამდენი საათი ეთმობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას, რამდენი პრაქტიკას. საფეხურზე დაშვების წინაპირობებში მითითებულია მეოთხე საფეხურის პროგრამით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების აღიარება, რასაც საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. პროგრამებში კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, განსაზღვრულია, მხოლოდ სიტყვები „შესაბამისი“ პროფესიული კვალიფიკაცია.

საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეხუსტებინათ, არსებობდა თუ არა პრაქტიკის კომპონენტი და გულისხმობდა თუ არა, მისანიჭებელ კვალიფიკაციაში სიტყვა „შესაბამისი“ სტანდარტით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადატურა ზემოაღნიშნული და განამარტა, რომ არსებული ხარვეზი გამოწვეული იყო დაწესებულების დაუდევრობით და წარმომადგენდა ტექნიკურ უზუსტობას. ასევე მან დააყენა შუამდგომლობა, რომ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

2. დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.

ბ) შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით კერესელიძემ. მისი თქმით შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საფეხური /კრედიტი
1	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსი	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების მეოთხე საფეხურის ავიატექნიკოსი	მეოთხე საფეხური (60 კრედიტი)
2	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების ავიატექნიკოსი	საფრენი აპარატებისა და ძრავების მომსახურების მეხუთე საფეხურის ავიატექნიკოსი	მეხუთე საფეხური (60 კრედიტი)
3	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების ავიატექნიკოსი	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების მეოთხე საფეხურის ავიატექნიკოსი	მეოთხე საფეხური (60 კრედიტი)
4	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების ავიატექნიკოსი	საფრენი აპარატების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურების მეხუთე საფეხურის ავიატექნიკოსი	მეხუთე საფეხური (60 კრედიტი)
5	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მეოთხე საფეხურის მშენებელ-ტექნიკოსი	მეოთხე საფეხური (60 კრედიტი)
6	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მეხუთე საფეხურის მშენებელ-ტექნიკოსი	მეხუთე საფეხური (60 კრედიტი)

7	პილოტი	მესამე საფეხურის პილოტი	მესამე საფეხური (50 კრედიტი)
8	პილოტი	მეოთხე საფეხურის პილოტი	მეოთხე საფეხური (70 კრედიტი)
9	პილოტი	მეხუთე საფეხურის პილოტი	მეხუთე საფეხური (30 კრედიტი)
10	ბუღალტერი	ბუღალტერ-ტექნიკოსი	მეოთხე საფეხური (33 კრედიტი)
11	ბუღალტერი	ბუღალტერი	მეხუთე საფეხური (33 კრედიტი)
12	საჰაერო გადამზიდავი	საჰაერო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მესამე საფეხური (22 კრედიტი)
13	საჰაერო გადამზიდავი	საჰაერო გადამზიდავის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეოთხე საფეხური (30 კრედიტი)
14	საჰაერო გადამზიდავი	საჰაერო გადამზიდავის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეხუთე საფეხური (30 კრედიტი)

დაწესებულების მეორე წარმოდგენილი 14 პროგრამიდან სამი არ შედის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის №121/ნ ბრძანების მეოთხე დანართის მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში. ამავე ბრძანების მეხუთე დანართის შესაბამისად ცენტრი თანხმობას აძლევს დაწესებულებას განახორციელოს ეს პროგრამები.

1	საჰაერო გადამზიდავი	საჰაერო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მესამე საფეხური (22
---	---------------------	---	---------------------

			კრედიტი)
2	საჰაერო გადამზიდავი	საჰაერო გადამზიდავის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეოთხე საფეხური (30 კრედიტი)
3	საჰაერო გადამზიდავი	საჰაერო გადამზიდავის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეხუთე საფეხური (30 კრედიტი)

ცენტრის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ მისანიჭებელ კვალიფიკაციებში ტექნიკური უზუსტობების მიუხედავად, ცენტრი არ მიიჩნევს ამ გარემოებას პროგრამების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძვლად.

მეოთხე საფეხურის პროგრამების, რომელსაც სტანდარტით გააჩნია მესამე საფეხური, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს, მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდები, როდესაც „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 8/ნ ბრძანების მე-6 მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს, ეროვნულ გამოცდებთან ერთად წინა საფეხურით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

1. მიჩნეულ იქნას, რომ შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
2. დაკმაყოფილდეს შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

გ) შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით კერესელიძემ. მისი თქმით შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საფეხური /კრედიტი
1	ბუღალტერი	ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ ტექნიკოსი	მეოთხე საფეხური (30 კრედიტი)
2	ბუღალტერი	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერი	მეხუთე საფეხური (30 კრედიტი)
3	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მცირე ბიზნესის მწარმოებელის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეოთხე საფეხური (60 კრედიტი)
4	ტუროპერატორი	ტუროპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-ტურსიტული პროდუქტის გაყიდვის სპეციალისტი	მეოთხე საფეხური (60 კრედიტი)
5	ტუროპერატორი	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეხუთე საფეხური (60 კრედიტი)
6	გიდი	უმაღლესი კვალიფიკაციის გიდი	მეოთხე საფეხური (60 კრედიტი)
7	ოფის-მენეჯერი (მდივან რეფერენტი)	ოფის-მენეჯერის (მდივან რეფერენტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეოთხე საფეხური (60 კრედიტი)

8	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	მეოთხე საფეხური (60 კრედიტი)
9	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	მეხუთე საფეხური (60 კრედიტი)
10	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი	მეოთხე საფეხური (60 კრედიტი)
11	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი	მეხუთე საფეხური (60 კრედიტი)

ცენტრის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ბუღალტრის, გიდის, ტუროპერატორის, ოფის-მენეჯერის (მდივან რეფერენტი), ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი), კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროგრამებში არ არის გათვალისწინებული წინა საფეხურის ცოდნის, უნარების და ღირებულებების აღიარება. დაწესებულებას მითითებული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს, მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდები, როდესაც „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 8/ნ ბრძანების მე-6 მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს, ეროვნულ გამოცდებთან ერთად წინა საფეხურით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარებას.

სხდომის თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის 275-ით განსაზღვრის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი

მომხრე: 8

წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:

1. მიჩნეულ იქნას, რომ შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
2. დაკმაყოფილდეს შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 275-ით.

დ) შპს - სასწავლო უნივერსიტეტი "ინტერფარმი+"-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სასწავლო უნივერსიტეტი "ინტერფარმი+"-ის თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით კერესელიძემ. მისი თქმით დაწესებულებამ 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საფეხური /კრედიტი
1	სამედიცინო კოსმეტოლოგი	სამედიცინო კოსმეტოლოგის IV – V საფეხურის კვალიფიკაცია	IV – V 60-60
2	მასაჟისტი	მასაჟისტის III-IV-V საფეხურის კვალიფიკაცია	III-IV-V 60-45-45
3	ფარმაცევტის თანაშემწე	ფარმაცევტის V საფეხურის კვალიფიკაცია	V / 60

სამედიცინო კოსმეტოლოგის ორი საფეხურის პროგრამა წარმოდგენილია ერთ პროგრამად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არასწორად არის მითითებული და არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. წარმოდგენილია მხოლოდ IV საფეხურის სასწავლო გეგმის ცხრილი, რომელშიც სრულყოფილად არ არის მითითებული პროგრამაში წარმოდგენილი კურსით გათვალისწინებული დისციპლინები.

მასაჟისტის სამი საფეხურის პროგრამა წარმოდგენილია ერთ პროგრამად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არასწორად არის მითითებული და არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. წარმოდგენილია მხოლოდ III საფეხურის სასწავლო გეგმის ცხრილი, რომელშიც სრულყოფილად არ არის მითითებული პროგრამაში წარმოდგენილი კურსით გათვალისწინებული დისციპლინები.

ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამაში სასწავლო გეგმის ცხრილში სრულყოფილად არ არის მითითებული პროგრამაში წარმოდგენილი კურსით გათვალისწინებული დისციპლინები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სასწავლო უნივერსიტეტი „ინტერფარმი+“-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 8

გადაწყვეტილება:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სასწავლო უნივერსიტეტი „ინტერფარმი+“ არ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.
2. სასწავლო უნივერსიტეტი „ინტერფარმი+“-ს უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე.

ე) თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

დაწესებულებამ წარმოადგინა შუამდგომლობა საკითხის განხილვის გადადების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის გადავადების საკითხი.

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

გადადებულ იქნას თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა.

ვ) შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით კერესელიძემ. მისი თქმით შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტმა 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საფეხური /კრედიტი
	კინო-ტელე ოპერატორი	კინო-ტელეოპერატორი	მე-4 და მე-5

1			საფეხურები; სულ 120 კრედიტი
---	--	--	--------------------------------

დავით კერესელიძის განმარტებით დაწესებულების სურვილია განახორციელოს პროფესიული განათლების მე-4 და მე-5 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები, რაც არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს, ვინაიდან კინოტელეოპერატორის საგანმანათლებლო პროგრამა ერთსაფეხურიანია და მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მე-4 საფეხურზე. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მე-4 და მე-5 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სულ 120 კრედიტს, მაშინ, როდესაც სტანდარტის მიხედვით მხოლოდ მე-4 საფეხურის პროგრამა უნდა მოიცავდეს მინიმუმ 120 კრედიტს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 8

გადაწყვეტილება:

1. მიჩნეულ იქნას, რომ შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი არ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.
2. შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტს უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე.

ზ) შპს - საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საქართველოს საავტომობილო - საგზაო კოლეჯის თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით კერესელიძემ. მისი თქმით შპს - საქართველოს საავტომობილო - საგზაო კოლეჯმა 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საფეხური /კრედიტი
1	სატრანსპორტო ფირმებში	III საფეხურის სატრანსპორტო	III საფეხური (30)

	ლოჯისტიკის ოპერატორი	ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიული კვალიფიკაცია	
2	სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორი	IV საფეხურის სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიული კვალიფიკაცია	IV საფეხური (60)
3	სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორი	V საფეხურის სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიული კვალიფიკაცია	V საფეხური (60)
4	სავალი ნაწილების ტექნიკოსი	II საფეხურის სავალი ნაწილების ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაცია	II საფეხური (30)
5	სავალი ნაწილების ტექნიკოსი	III საფეხურის სავალი ნაწილების ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაცია	III საფეხური (30)
6	სავალი ნაწილების ტექნიკოსი	IV საფეხურის სავალი ნაწილების ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაცია	IV საფეხური (60)
7	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ- ტექნიკოსი	III საფეხურის საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ- ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაცია	III საფეხური (30)
8	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ- ტექნიკოსი	IV საფეხურის საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ- ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაცია	IV საფეხური (60)
9	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ- ტექნიკოსი	V საფეხურის საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ-ტექნიკოსის პროფესიული კვალიფიკაცია	V საფეხური (60)

დავით კერესელიძის განმარტებით სატრანსპორტო ფორმებში ლოჯისტიკის ოპერატორი, სავალი ნაწილების ტექნიკოსი, საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროგრამებში არ არის გათვალისწინებული წინა საფეხურის ცოდნის, უნარების და ღირებულებების აღიარება. დაწესებულებას მითითებული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს, მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდები, როდესაც „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 8/ნ ბრძანება ითვალისწინებს, ეროვნულ გამოცდებთან ერთად წინა საფეხურით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარებას.

ვინაიდან დაწესებულებას არ წარმოუდგენია შუამდგომლობა პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს საავტომობილო - საგზაო კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის მოგვიანებით განსაზღვრის პირობით.

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

მიჩნეულ იქნას, რომ შპს - საქართველოს საავტომობილო - საგზაო კოლეჯი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

თ) შპს - კავკასიის უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - კავკასიის უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით კერესელიძემ . მისი თქმით შპს - კავკასიის უნივერსიტეტმა 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	საფეხური /კრედიტი
1	გიდი	პირველი, მე-3; მე-4; მე-5 საფეხურები
2	ტუროპერატორი	მე-3; მე-4; მე-5 საფეხურები
3	სასტუმროს საქმისმწარმოებელი	მე-3;მე-4; მე-5 საფეხურები
4	ბუღალტერი	მე-3; მე-4; მე-5 საფეხურები

--	--	--

დავით კერესელიძის განმარტებით თითოეულ პროგრამა მოიცავს კონკრეტული პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა საფეხურს, სადაც არ არის ცალკე გათვალისწინებული სწავლის შედეგები, მიზნები, მოცულობა. პროგრამებში არ არის გათვალისწინებული პროფესიული სტანდარტის მოთხოვნები, სწავლის შედეგები, პრაქტიკის კომპონენტი. პროგრამებით არ იმიჯნება საათების რა ნაწილი ეთმობა პრაქტიკასა და თეორიას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 8

გადაწყვეტილება:

1. მიჩნეულ იქნას, რომ შპს - კავკასიის უნივერსიტეტი არ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.
2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტი უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე.

8.2 საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ პროფესიული პროგრამები წარმოდგენილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ და ამ ეტაპზე უნდა შეფასებულიყო ამავე დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით დადგენილი სტანდარტების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი) დაკმაყოფილების საკითხი.

ი) შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ - „გონისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ - „გონის“ წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ - „გონის“ თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით კერესელიძემ. მისი თქმით შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ - „გონმა“ 2011 წლის თვითშეფასების

ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საფეხური /კრედიტი
1	მზარეული	მზარეულის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	1-ლი საფეხური (32 კრედიტი)
2	მზარეული	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-2 საფეხური (34 კრედიტი)
3	მზარეული	მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-3 საფეხური (35 კრედიტი)
4	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	ოფისის მენეჯერის (მდივან- რეფერენტი) მეორე საფეხურის პროფესიული პროგრამა	მე-2 საფეხური (30 კრედიტი)
5	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	ოფისის მენეჯერის (მდივან- რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა	მე-3 საფეხური (30 კრედიტი)
6	ბუღალტერია	ბუღალტერ მოანგარიშე	მე-3 საფეხური (30 კრედიტი)
7	დურგალი	დურგლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეორე, საფეხური 60 კრედიტი
8	დურგალი	დურგლის მესამე საფეხურის	მესამე საფეხური 34 კრედიტი

		პროფესიული კვალიფიკაცია	
9	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პირველის საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	პირველი საფეხური 22 კრედიტი
10	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეორე საფეხური 24 კრედიტი
11	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მესამე საფეხური 28 კრედიტი

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის ოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა კონტინგენტის 100 პროფესიული სტუდენტით განსაზღვრაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ - „გონისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

მომხრე: 8

წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:

1. მიჩნეულ იქნას, რომ შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრი - „გონი“ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

2. დაკმაყოფილდეს შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრი - „გონის“ შუამდგომლობა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

კ) შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით კერესელიძემ. მისი თქმით შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯმა 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საფეხური /კრედიტი
1	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	1-ლი საფეხური (30 კრედიტი)
2	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-2 საფეხური (30 კრედიტი)
3	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-3 საფეხური (30 კრედიტი)
4	ინტერნეტ ტექნოლოგი	ვებ-ტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) II საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-2 საფეხური (25 კრედიტი)

5	ინტერნეტ ტექნოლოგი	ინტერნეტ ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-3 საფეხური (25 კრედიტი)
6	ოფის-მენეჯერი	ოფის-მენეჯერის (მდივან- რეფერენტი) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-3 საფეხური (30 კრედიტი)
7	მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)	მცენარეების დამამზადებელის (სამკურნალო, არომატული) პროფესიული კვალიფიკაცია	მე-3 საფეხური (35 კრედიტი)
8	ბუღალტერ/მოანგარიშე	ბუღალტრის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-3 საფეხური (30 კრედიტი)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის ოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა კონტინგენტის 120 პროფესიული სტუდენტით განსაზღვრაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

1. მიჩნეულ იქნას, რომ შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

2. დაკმაყოფილდეს შპს - წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის შუამდგომლობა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

ლ) შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ცენტრი შუამდგომლობს უარი ეთქვას შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე, ვინაიდან მან არ დაიცვა თვითშეფასების ანგარიშით შესაბამისი პროგრამების წარმოდგენისათვის დადგენილი პროცედურა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 8

გადაწყვეტილება:

1. მიჩნეულ იქნას, რომ შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსი“ არ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.

2. შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „პოლუსს“ უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე.

მ) შპს - „ლიცეუმი“ – პროფესიული კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „ლიცეუმის“ – პროფესიული კოლეჯის თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა დავით კერესელიძემ. მისი თქმით შპს - „ლიცეუმი“ – პროფესიული კოლეჯმა 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საფეხური /კრედიტი
---	-----------------------	------------------------------	-------------------

1	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-2 საფეხური (35 კრედიტი)
2	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-3 საფეხური (30 კრედიტი)
3	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-3 საფეხური (40 კრედიტი)
4	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	1-ლი საფეხური (35 კრედიტი)
5	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-2 საფეხური (35 კრედიტი)
6	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-3 საფეხური (40 კრედიტი)

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეორე საფეხურის პროფესიულ პროგრამაში პროგრამის მეოთხე პუნქტში მითითებულია, 525 სთ (60%) -სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტისათვის, რაც არ შეესაბამება სასწავლო გეგმას, სადაც სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის საათები შეადგენს 315 სთ-ს.

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაში პროგრამის მეოთხე პუნქტში მითითებულია, 450 სთ (60%) -სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტისათვის, რაც არ შეესაბამება სასწავლო გეგმას, სადაც სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის საათები შეადგენს 210 სთ-ს.

ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის, კბილის ტექნიკოსის მეორე საფეხურის და კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროგრამებში არ ისწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიები, როდესაც სტანდარტი აღნიშნულ შედეგზე გადის.

ვინაიდან საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა დაწესებულების წარმომადგენელი, ხოლო საბჭოს წევრების საკითხის არსებითად გადაწყვეტისათვის, ჰქონდათ კითხვები დაწესებულების წარმომადგენელთან, საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა დააყენა საკითხი განხილვის გადადების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვინაიდან დაინტერესებული მხარის მოსაზრებების მოსმენას და განხილვას არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხის გადაწყვეტისთვის, მიზანშეწონილია გადაიდოს საკითხის განხილვა. მან კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ლიცეუმი“ – პროფესიული კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის გადადება.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 2

გადაწყვეტილება:

გადადებულ იქნას შპს - „ლიცეუმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა.

9. შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ საბჭოს წევრები მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით შენიშვნები არ არსებობდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმი „სხივის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივისთვის“ ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმი „სხივის“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 761-ით.

10. შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარის“ წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ საბჭოს წევრები მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, რომ დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა დავით მაკარიძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში საერთო ფართად მითითებული აქვს 1781.68 კვ.მ, თუმცა საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ „შპს ვ.ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარი“ საკუთრებაში ფლობს ქ. თბილისში, თორნიკე ერისთვის ქუჩა №2^ა ში მდებარე მიწის ნაკვეთს 607 კვ. მ. და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას - 1389.95 კვ.მ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ფართის დანარჩენი ნაწილის - 381,1 11 კვ.-ის თაობაზე თბილისის მერიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება მისი დაკანონების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარისათვის“ ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიურ სკოლა „ცისკარს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 378-ით.

11. სპს - „ლომისი 1 თამარ ბარძიმაშვილის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სპს - „ლომისი 1 თამარ ბარძიმაშვილის“ წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრები მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სპს - „ლომისი 1 თამარ ბარძიმაშვილის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დასკვნა მთლიანობაში დადებითია, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია და ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული შეფასების იმ ნაწილზე, რომელმაც, მისი თქმით, შეიძლება გავლენა იქონიოს დაწესებულებისათვის მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრაზე, კერძოდ:

დაწესებულება ფლობს ქ. თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, ხიზანიშვილის ქუჩა № 42 არსებული შენობის პირველ და მეორე სართულს, სარდაფს და სარდაფის ანტრესორს. ფართთან დაკავშირებით გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულებები შპს - „ალტასთან“ და მესაკუთრე ანიკო მაღრაძესთან, სულ 3 ხელშეკრულება. ამათგან ორი ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, ხოლო ფართის ნაწილს, კერძოდ, სარდაფის ანტრესორს, სადაც განთავსებულია სააქტო დაბაზი (168,76 კვ.მ.), დაწესებულება ფლობს იჯარის ხელშეკრულებით, რომელიც არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულებებით და ექსპერტთა ჯგუფის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული საერთო ფართობი 1101.66 კვ. მ. ხოლო საჯარო რეესტრის მონაცემებით, დაწესებულების მფლობელობაში არსებული საერთო ფართობი შეადგენს 932.9 კვ.მ-ს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან სპს - „ლომისი 1 თამარ ბარძიმაშვილის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა - „ლომისი 1 თამარ ბარძიმაშვილისთვის“ ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სპს - „ლომისი 1 თამარ ბარძიმაშვილს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 233-ით.

12. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის წარმომადგენლებს მიმართა შეკითხვით, იყვნენ თუ არა ისინი უფლებამოსილი წარმომადგენლები ან ჰქონდათ თუ არა მათ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის წარმომადგენლებმა ვერ დაადასტურეს მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკითხის განხილვა მოხდებოდა შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის წარმომადგენლის დაუსწრებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ უარყოფით შეფასებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით

1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო 2011-12 წლების საათობრივი ბადე (მას უწოდებდნენ დაწესებულების წარმომადგენლები - სასწავლო გეგმას) და 2010-2011 წლის გაკვეთილების ცხრილი (2011-12 წლის არ გააჩნდათ). წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ 2010-2011 სასწავლო წელს სპორტის გაკვეთილების სწავლება VII – XII კლასებში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. ამასთან, 2011 – 2012 სასწავლო წლის საათობრივ ბადეში, ამ კლასებში, სპორტს დათმობილი აქვს კვირაში 1 საათი. მასწავლებლის ადგილი ვაკანტურია და არ არის სასწავლო პროგრამა შესაბამის დისციპლინაში;

1.2 საათობრივ ბადეში გათვალისწინებულია ორი უცხო ენის (ინგლისური და რუსული) სწავლება, ხოლო მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვაში სკოლას ჰყავს ორი გერმანულის მასწავლებელი და როგორც გაირკვა, სკოლაში ისწავლება მესამე უცხო ენაც;

1.3 XI – XII კლასებში არჩევითი საგნები ჩანაცვლებულია ზოგადი უნარებით;

1.4 სკოლის შინაგანაწესში ნათქვამია, რომ მოსწავლეთა წლიური და საბოლოო შეფასება ხდება საქართველოსა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული დოკუმენტაციის შესაბამისად, თუმცა სასწავლო ნაწილთან გასაუბრებით ცნობილი გახდა, რომ კლასიდან კლასში გადასაყვანი მინიმალური ბარიერი განსაზღვრულია 6 ქულით და სასკოლო სასწავლო გეგმა არ შეიცავს ინფორმაციას მოსწავლეთა შეფასების პრინციპების შესახებ;

1.5 დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა გულისხმობს „სამზახთო სკოლის“ მუშაობას, რომელიც მოიაზრებს ისეთ საგანმანათლებლო მომსახურეობას, რომ მოსწავლეებმა

რეპეტიტორის გარეშე შეძლონ საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება, თუმცა არ არის ამ მომსახურების სამოქმედო პროგრამა და განრიგი, თუ ვინ როდის, სად, რა ხანგრძლივობით მუშაობს;

1.6 სკოლაში (სასწავლო ნაწილის გამგესთან გასაუბრებით) ფუნქციონირებს 4 საგნობრივი კათედრა: ფიზიკა-მათემატიკის, უცხო ენების, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო, მაგრამ არ არის კათედრის გამგეების სამუშაო გეგმები. ამასთან, საგნების უმრავლესობაში არ არის წარმოდგენილი სასწავლო პროგრამები;

1.7 სასწავლო წლის მანძილზე შესწავლილი მასალის განმტკიცების, გამოტოვებული მასალის აღდგენის, გამეორების მიზნით სასწავლო წლის დამთავრებამდე ერთი კვირა დაეთმობა კლასიდან კლასში გადასაცემს გამოცდებს ფიზიკა-მათემატიკაში (საჭიროების შემთხვევაში სხვა საგნებშიც, მაგრამ არაუმეტეს სამ საგანში), მაგრამ არ ჩანს როდის ეცნობება მოსწავლეს იმის შესახებ, გამოცდა ჩასაბარებელი. სასწავლო წლის დამთავრებამდე 3 თვით ადრე კედელზე გამოკრული გამოცდების ცხრილის მეშვეობით იგებს მოსწავლე, თუ რომელ საგანში, როდის ექნება გამოცდა. მაგალითად, სასწავლო წლის დამთავრებამდე 3 თვით ადრე ქიმიის მასწავლებლის სურვილით დაინიშნა გამოცდა VIII კლასში;

1.8 არც სკოლის სასწავლო გეგმაში, არც საგნობრივ პროგრამებში (რომელ საგნებშიც არის) არ ჩანს შეფასების რა კრიტერიუმებს იყენებენ მასწავლებლები და რა თქმა უნდა არც კრიტერიუმების გამჭვირვალებოზაზე შესაძლებელი დასკვნის გაკეთება;

1.9 არ არსებობს მშობლებთან მუშაობის შესახებ არანაირი ინფორმაცია. სამი კლასის დამრიგებელი (XI', XI'', VIII) მშობლებთან კონტაქტისათვის იყენებს მობილურ ტელეფონებს;

1.10 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა არანაირ ინფორმაციას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების რაიმე მექანიზმების შესახებ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

1.1 შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლას არ აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, კოსტავას ქ. №68-ში მდებარე სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის შენობის მეორე სართულზე არსებული 312 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი. ზემოაღნიშნული დასტურდება ასევე ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. შესაბამისად, წარმოდგენილი ქვეიჯარის ხელშეკრულებით ვერ დასტურდება, თუ რა უფლებები გააჩნია დაწესებულებას ჩიქოვანის ქ. №1-ში (სადაც სკოლა ფაქტობრივად ფუნქციონირებს) არსებულ ფართზე. ასევე, დაუზუსტებელია მოცემულ მისამართზე არსებული ფართი;

1.2 შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლას არ აქვს არც სპორტული დარბაზი, არც აუზი და არც მოედანი;

1.3 შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლას არ აქვს ლაბორატორია;

1.4 შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლას არ აქვს თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ბიბლიოთეკა. შესაბამისად, არ არის აღწერილი ყველა

სასწავლო წიგნი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფისა და თემატიკის მიხედვით;

1.5 მოცემულ პერიოდში დაწესებულების არც ერთი კომპიუტერი არ არის ჩართული ინტერნეტ ქსელში;

1.6 შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლას გააჩნია საკუთარი ვებგვერდი, www.gdss.wordpress.com სადაც სკოლის შესახებ მწირი ინფორმაციაა განთავსებული. ვებგვერდის თითქმის ყველა განყოფილება ცარიელია;

1.7 დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. სამასწავლებლოში არის მცირე ზომის ოთახი სადაც განთავსებულია ხელსაბანი და კუთხეში დგას სეიფი, რომლის თავზე არის მცირე ზომის თარო პირველადი დახმარების სამედიცინო მედიკამენტებისათვის. სკოლას ყავს ექთანი (ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი) თავისუფალი სამუშაო გრაფიკით;

1.8 წესრიგის დაცვას ახორციელებს დღის დარაჯი. ღამის დარაჯი დაწესებულებას არ ჰყავს. ამასთან, სკოლას არ გააჩნია უსაფრთხოების კამერები;

1.9 სკოლას აქვს წესდება და შინაგანაწესი, რომლებიც ვერ ახდენს სრულად სასკოლო ცხოვრების რეგულაციას. კერძოდ, იგი ასახავს სკოლის მიზნებს და სამომავლო პერსპექტივებს, თუმცა არ აყალიბებს ნათლად ხელმძღვანელობასა და კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე მართვის ორგანოთა უფლებამოსილებებს. აქვე, წესდების (მე-4 ნაწილის მე-5 პუნქტი) მიხედვით წესდებას ამტკიცებს სკოლის კოლეგია, ხოლო მის ბოლო გვერდზე კი მითითებულია, რომ მოცემული წესდება მიღებული და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე 2007 წლის 10 სექტემბერს ოქმი №1-ით.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინტერნეტ ქსელიდან კომპიუტერები დროებით ეკონომიის მიზნით იქნა გამორთული. სპორტული დარბაზით მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია, თუმცა ეს არ არის იჯარის ხელშეკრულება და, შესაბამისად, არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

საბჭომ იმსჯელა **მატერიალური რესურსის** სტანდარტთან დაკავშირებით შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:

3.1 თანამშრომელთა პირადი საქმიეების უმრავლესობაში არ დევს ავტობიოგრაფია. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ სკოლის ისტორიის მასწავლებელი ითავსებს ბიბლიოთეკარის შტატს;

3.2 სკოლის ერთწლიან სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული არ არის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, რაც არ ჩანს კათედრების სამუშაო გეგმაში გაწერილი საქმიანობებით, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და გამოცდილების გაზიარებით; სხვადასხვა საგანმანათლებლო სასწავლო ტრენინგ-სემინარებზე მასწავლებელთა დასწრება დოკუმენტურად არ დასტურდება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკურ სკოლას უარი ეთქვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების თაობაზე.

საბჭომ კენჭისყრით ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სხდომის 24:00 საათის შემდეგ გაგრძელების შესახებ. აღნიშნულს დაეთანხმა შპს - ნაკადულის წარმომადგენელი.

13. შპს - ნაკადულის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ნაკადულის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - ნაკადულის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ საბჭოს წევრები მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ნაკადულის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ უარყოფით შეფასებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 სკოლა-ლიცეუმში ვიზიტის დროს დოკუმენტაციის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ პედაგოგიური საბჭოს მიერ 2010 წლის 1 სექტემბერს დამტკიცდა სკოლა-ლიცეუმის სასკოლო სასწავლო გეგმა. თუმცა, ის ცალკე დოკუმენტად ვერ იქნა წარმოდგენილი.

1.2 სკოლის საათობრივი ბადე ნაწილობრივ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. კერძოდ, VI კლასში არ ისწავლება შრომა (სავალდებულო საგანი). ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სკოლებმა საფეხურის ფარგლებში აუცილებლად უნდა ასწავლონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი. I კლასში სკოლის საათობრივი ბადის და ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ისტ-ს (ინფორმაციულ ტექნოლოგიებს) ეთმობა 1 საათი პირველ სემესტრში და V კლასში 2 საათი, რომელიც არ ჩანს გაკვეთილების ცხრილში და საათობრივ ბადეში. საათობრივ ბადეში ისტ-ის ნაცვლად წერია ისტორია (შესაბამისად მითითებულია მასწავლებელი ჯანჯღავა, რომელიც ისტორიას ასწავლის), ამიტომ ამ უზუსტობების გამო რთული დასადგენია ბადის და ცხრილის შესაბამისობა.

1.3 სკოლის დირექტორთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ჭადრაკის, კარატეს, ქართული ცეკვის, ხატვის წრეები და თეატრალური სტუდია, მაგრამ სასკოლო სასწავლო გეგმაში ეს არ ჩანს. აგრეთვე მუშაობს გახანგრძლივებული ჯგუფი 5 საათამდე. ამ მუშაობის ამსახველი ინფორმაცია სასკოლო სასწავლო გეგმაში არ მოიპოვება.

1.4 2010 წლის 1 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმის მიხედვით სკოლაში არსებობს 6 საგნობრივი კათედრა (ქართული ენისა და ლიტერატურის; მათემატიკის; უცხოური ენების; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; საზოგადოებრივი მეცნიერებების; ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის), სადაც გაერთიანებულია საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი და არჩეული კათედრის ხელმძღვანელი. თუმცა, სკოლაში არის საგნობრივი კათედრის მხოლოდ 5 ჟურნალი (საბუნებისმეტყველო და ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის კათედრების გარდა), დამატებით წარმოადგინეს დაწყებითი საფეხურის

კათედრის ჟურნალიც (დაწყებითი კათედრის შესახებ პედსაბჭოს ოქმში არაფერი წერია). წარმოდგენილია ზოგიერთი საგნის და კლასის პროგრამა. არ არის წარმოდგენილი VIII კლასის პროგრამები (დირექტორის ახსნით, ეს კლასი არ ჰყავთ), ინგლისური ენის V, VI კლასების, გეოგრაფია – VI, VII კლასების, ქართული – II კლასის, მათემატიკა – II, V, VI, VII კლასების, ხელოვნება, სპორტი, მუსიკა და შრომა საერთოდ არ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგნებს სკოლას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ჭადრაკის პროგრამა.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

2.1 გამქირავებული გიორგი ჯეზირაშვილსა და დამქირავებელ შპს „ნაკადულს“ შორის 2007 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებულია ქირავნობის ხელშეკრულება. საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია, რომ განცხადების რეგისტრაციის №012007164295, თარიღი 10.10.2007 ხელშეკრულების საგანია – ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძის ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი B, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით იგივე ჯ. ნადირაძის ქ. 26–ია. უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ქირავნობის საგანია: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩაზე მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძის ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი B - ზე მდებარე შენობა– ნეგებობა (საერთო ფართობით 332.3 კვ.მ.) ამონაწერში მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შპს - „ნაკადულის“ იურიდიულ მისამართად დაფიქსირებულია თბილისის ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის, ნაკ. №B ჯ. ნადირაძის ქ. №26., ხელშეკრულება გაფორმებულია 5 წლის ვადით და ძალაშია ორიათასთორმეტი წლის რვა ოქტომბრის ჩათვლით. ხსენებული შენობა დატვირთულია იპოთეკით. იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკი“ მესაკუთრე გიორგი ჯეზირაშვილი, იპოთეკის საგანია მიწის ნაკვეთი 450 კვ.მ. შენობა– ნაგებობების საერთო ფართი: 504.09 კვ.მ.

2.2 სკოლას აქვს 8 საკლასო ოთახი, 21 ორადგილიანი მერხი, სასკოლო ინვენტარის მნიშვნელოვანი ნაწილი სკოლა ნაკადულს გადაცემული აქვს თხოვნების ხელშეკრულებით.

2.3 დარბაზი გამოიყენება, როგორც სააქტო ისე სპორტული ვარჯიშებისთვის, ბიბლიოთეკაში მოსახვედრად და ბიბლიოთეკიდან უკან დასაბრუნებლად უნდა გაიაროს ეს დარბაზი. სკოლას აქვს მინი-ფეხბურთის მოედანი, მოედანზე განთავსებულია ბადე ფრენბურთისთვის.

2.4 ფიზიკის და ქიმიის ლაბორატორია განთავსებულია ერთ ოთახში, რომელიც აღჭურვილია მხოლოდ კოლბებით, მიკროსკოპით და თვალსაჩინოებებით.

2.5 სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 408 ერთეულს, აქედან ინგლისურენოვანი წიგნები – 160, სასწავლო სახელმძღვანელო, რომელიც შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმას – 55; ინგლისური არაგრიფირებული სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში არ არის (სკოლის დირექტორის ახსნით მიზეზი – წიგნების სიძვირეა), სამეცნიერო და მხატვრული – 193. ინგლისურენოვანი 160 წიგნი სკოლას მოპოვებული აქვს გრანტით, რაზეც სათანადო დოკუმენტი ვერ წარმოადგინეს. ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნის თაროებით, ერთი მაგიდით, სკამებით, ერთი კომპიუტერით, რომლის ინტერნეტში ჩართვას სკოლა გეგმავს ახალი სასწავლო წლიდან.

2.6 შესაბამისობის დადგენა რთულია, რადგანაც სკოლას მიეწოდება ინტერნეტი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს მხოლოდ ერთი კომპიუტერი იყო ჩართული ინტერნეტში. ხელმძღვანელობის განმარტებით სხვა კომპიუტერების ინტერნეტში ჩართვა იგეგმება მომავალი სასწავლო წლის დაწყების შემდეგ. სკოლას აქვს ვებგვერდი www.skolanakaduli.ge, რომელიც

ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, თუმცა გარკვეული ხარვეზებით, მაგ.: საიტი გასაახლებელია, მასზე განთავსებული ინფომაცია ეხება სამივე საფეხურს და სკოლას საავტორიზაციო განაცხადი შემოტანილი აქვს მხოლოდ 2 საფეხურზე.

2.7 ადმინისტრაციის განმარტებით დაცვის თანამშრომელი არ ჰყავთ. წესრიგის უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებელი, მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. სკოლას აქვს ერთი უსაფრთხოების კამერა, რომელიც აფიქსირებს სკოლის გარე პერიმეტრს, მხოლოდ სპორტულ მოედანს და ეზოს ნაწილს.

2.8 სკოლამ წარმოადგინა 1995 წლის წესდება, რომელიც დამოწმებულია შპს „ნაკადული“-ს ბეჭდით, ბეჭედში იკითხება საიდენტიფიკაციო კოდი – 204872904, ხოლო ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრების რეესტრში შპს „ნაკადულის“ საიდენტიფიკაციო კოდი არის 204889068. წარმოადგინეს ქ. თბილისის საერო სკოლა „ნაკადულის“ დირექციის წევრთა შორის ფუნქციონირების შესახებ დოკუმენტი. სკოლას არ წარმოუდგენია სტრუქტურული ერთეულების გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა დებულება ან საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტაცია. თუმცა წარმოადგინა გახანგრძლივებული სწავლების კურატორის თ. ხვიჩიას ვალდებულებების შესახებ დაბეჭდილი 1 გვერდი, სკოლის მენეჯერი თ. ხვიჩიას ვალდებულებების შესახებ დაბეჭდილი 2 გვერდი, დაბეჭდილი დებულება 3 გვერდი, კადრების დებულება 1 გვერდი, რომლებიც ხელმოუწერელია და არაა დამოწმებული ბეჭდით (იხ. დანართი №11 – 7 გვერდი).

2.9 სკოლამ წარმოადგინა 2010–2011 სასწავლო წლის სკოლა „ნაკადულის“ სტრატეგიული გეგმა (3+3 წელი), სადაც გაწერილია დებულებები სწავლებისა და სწავლების ხარისხის შესახებ, სწავლის ხარისხისთვის, მოსწავლეთა საქმიანობა – მოთხოვნები მათ მიმართ; სხვა რაიმე დოკუმენტი, სადაც ასახული იქნებოდა სკოლის გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა სკოლას არ წარმოუდგენია.

2.10 მიმდინარეობს გამოცემული ბრძანებების აღრიცხვა, მაგრამ ხარვეზებით. მაგ. მეორდება ბრძანებების ნომრები, კერძოდ, 1998 წლის 1 სექტემბერს გამოცემული №6 ბრძანება. სკოლის ბრძანებების ნუმერაცია იწყება ყოველი წლის დასაწყისში თავიდან, თუმცა, 2010 წელი სრულდება 20.XI.2010 წ. №62 ბრძანებით 2011 წლის პირველი ბრძანება 02.2011(რიცხვი არ არის მითითებული) არის №63.

კადრების მუშაობის ოქმებისა და სხვა მიმდინარე პროცესების ამსახველი დოკუმენტები და აღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ ვერ წარმოადგინა, ასევე ვერ წარმოადგინა დოკუმენტი მათი აღრიცხვის წესის თაობაზე. ადმინისტრაციის განმარტებით, კორესპონდენციის აღრიცხვის წარმოება სკოლაში არ მიმდინარეობს.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:

1. სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა 26 პედაგოგი. 26 პედაგოგიდან 8 პედაგოგი ახალი სასწავლო წლიდან აღარ აგრძელებს სკოლაში მუშაობას, ამიტომ ზოგი მათგანის (2 პედაგოგის) პირადი საქმე უკვე აღარ დევს სკოლის დოკუმენტაციაში.

2. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შრომის ხელშეკრულებებში არ არის მითითებული ხელშეკრულების დადების თარიღი და მისი მოქმედების ვადები.

3. სკოლის თანამშრომლებისთვის (პედაგოგების, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის) დადებულ შრომის ხელშეკრულებებში არ არის მითითებული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დასახელება და ხელფასის ოდენობის გრაფა შეუვსებელია.

პედაგოგების შრომით ხელშეკრულებებში არ არის მითითებული, რომელი პედაგოგი რა საგნის მასწავლებლად არის აყვანილი და ამის გარდა კიდევ რა უფლება-მოვალეობები აქვთ (დამრიგებელი), ასეთივე მდგომარეობაა ტექნიკური პერსონალის (ექიმი, მზარეული, დამლაგებელი, ლოგოპედი) შრომით ხელშეკრულებებშიც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბრძანებების წიგნში, თითოეული თანამშრომლის სამსახურში დანიშვნის შესახებ მითითებულია მისი თანამდებობა.

ზეპირ მოსმენაზე, იოსებ სალუქვაძემ მიმართა შპს - ნაკადულის დირექტორს, რომ წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები ექსპერტთა დასკვნაში არსებულ შენიშვნებთან დაკავშირებით.

შპს ნაკადულის დირექტორმა აღნიშნა, რომ საიდენტიფიკაციო კოდის შეცვლა სახელმწიფოს მოთხოვნით მოხდა.

ასევე მან განმარტა, რომ ფიზკულტურის გაკვეთილების ჩასატარებლად ფაქტიურად არც იყვნენ დარბაზს, რადგან სკოლას აქვს ეზო, ხოლო წიგნების გაცემა არ ხდება, რადგან გაკვეთილების შემდეგ მასწავლებლებს მიყავთ ბავშვები ბიბლიოთეკაში და ამეცადინებენ.

იოსებ სალუქვაძემ დააზუსტა, რომ ბიბლიოთეკა არის წიგნების საცავი და ბავშვს შესაძლებლობა უნდა ქონდეს საკუთარი სურვილის შესაბამისად, ისარგებლოს იქ განთავსებული წიგნებით, რადგან საბიბლიოთეკო მუშაობა დამოუკიდებელი მუშაობაა, ამიტომ უნდა იყოს წიგნების ადგილზე წაკითხვის და გატანის საშუალება.

შპს ნაკადულის დირექტორმა აღნიშნა, რომ ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა გააჩნიათ და მშობლების სურვილია, რომ ბავშვები სკოლაში ამეცადინონ.

შპს ნაკადულის დირექტორმა აღნიშნა, ბრძანების ნომრებში ცდომილება არ არის არსებითი შეცდომა, რაშიც არ დაეთანხმა იოსებ სალუქვაძე და აღნიშნა, რომ ბრძანების ნუმერაციაში არ უნდა იყოს ცდომილება.

შპს ნაკადულის დირექტორმა ისაუბრა სკოლაში შექმნილ სიტუაციაზე, რომ სკოლას დარჩა მხოლოდ ორი საფეხური, რამაც შეაფერხა შპს ნაკადული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნაკადულისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 8

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ნაკადულს უარი ეთქვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების თაობაზე.

სხდომა დასრულდა 00:45 საათზე.

იოსებ სალუქვაძე

სხდომის თავმჯდომარე,

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

გაიანე სიმონია

საბჭოს მდივანი

